

ქ.თბილისი

2016 წლის 28 სექტემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 28 სექტემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის გ. ჭიჭინაძის ოქმი და მსაჯთა ბრიგადის მოხსენებითი ბარათები ამა წლის 24 სექტემბერს „დიდი 10“-ის ლიგის მატჩში, ქუთაისის „ბაგრატი“-სა და ბოლნისის „ყოჩები“ შორის მომხდარი ინციდენტების გამო და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. კლუბ ქუთაისის „ბაგრატი“-ის მწვრთნელი ბექა სხულუხია საჯაროდ აპელირებდა მსაჯის გადაწყვეტილებებზე რამაც გამოიწვია გულშემატკივართა აგრესია და მათ მიერ მსაჯთა ბრიგადის სიტყვიერი შეურაცხყოფა.
2. კლუბ ქუთაისის „ბაგრატი“-ს მორაგბემ ავთო ბოგვერაძემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის მთავარ მსაჯს შ. თევზაძეს.
3. კლუბ ბოლნისის „ყოჩები“-ს მწვრთნელი რატი ურუშაძე აპელირებდა საჯაროდ მსაჯის გადაწყვეტილებებზე.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2, 2.1.3, 2.2.2 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ ქუთაისის „ბაგრატი“-ის მწვრთნელი ბექა სხულუხია დისკვალიფირებულ იქნას 3 (სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით.
2. კლუბ ქუთაისის „ბაგრატი“-ს მორაგბემ ავთო ბოგვერაძე დისკვალიფირებულ იქნას 10 (ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000 (ათასი) ლარით.
3. კლუბ ბოლნისის „ყოჩები“-ს მწვრთნელი რატი ურუშაძე დისკვალიფირებულ იქნას 2 (ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300 (სამასი) ლარით.
4. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 28 ოქტომბრამდე.
5. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, კლუბ ქუთაისის „ბაგრატი“-ს და კლუბ ბოლნისის „ყოჩები“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/